№ 223
შაბათი, 17 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	3 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 223
შაბათი, 17 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 20 ოქტომბერს.

პანსიონი და სასწავლებელი
ვ. ა. გრინოვისა
(ქ. დრუჟევიცა-კოვაჩისა)

იღებს ორივე სქესის ყმაწვილებს სრულ და ნახევარ პანსიონერებად და აგრეთვე გარედამ მოსიარულეებსაც საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში მოსამზადებლად.

ადრესი: მოსკოვის ქუჩა, № 11 (Московская ул., № 11).
(3—153—1)

საქველ-მოქმედო
ბაზარი
18 ოქტომბერს
თამამშევის ქარვასლაში

ერევნის მოედანზე ტფილისში დაარსებულ ბავშვების თავშესაფარისა და უფასო სასადილოს სასარგებლოდ.

იაფად გაიყიდება 2000 ნივთი, შემოწირული საზოგადოების წევრთა, დაწესებულებათა და სხვათა მიერ. დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა. გამართული იქმნება ბუფეტი.

ფასი ბაზარზე შესვლისა 20 კაპ. ბავშვებსა და მოსწავლეებს გამოერთმევათ 10 კაპ.

დასაწყისი დილის 11 საათზე.
(1—უ.—1)

ქართული გალობის სამუდამო გუნდი

სასულიერო მთავრობის განკარგულებით ტფილისის ანჩისხატის ტაძართან არსდება ქართულ მგალობელთა სამუდამო გუნდი. აზრი ამ გუნდის დაარსებისა არის—დაცვა ძველის ქართულის სასულიერო კილოებისა და მათი გავრცელება საქართველოში. ამა მგალობელთა გუნდის შედგენა მე მაქვს მონდობილი და ამიტომ მოვიწვევ ქართულის გალობის შესწავლის მსურველთა გამოცხადდნენ ჩემთან ანჩისხატის ტაძრის ეზოში პირობების შესატყობად და საქმის განსახორციელებლად. ეკკლესიაში გალობის დაწყებისათანავე გუნდს დაენიშნება ყოველთვიური გარდაკვეთილი ჯამაგირი.

ანჩისხატის სობოროს მღვდელი პოლიევქტო კარბელაშვილი
(4—უ—4)

დაიბეჭდა და იყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **კრილოვის არაკები,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.

2) **ამოდის, ნათდება!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი ქალი ი. გოგებაშვილის 5 კ.

3) **ვეფხის-ტყაოსანი,** ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ. სურათებით. გამოცემა მეორე, შევსებული და შესწორებული, ფასი 25 კ. (10—უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრონტასკევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6\frac{1}{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—9)

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 18 ოქტომბერს, დილის 11 საათიდგან, ერევნის მოედანზე, თამამშოვის ქარვასლაში გაიმართება საქველ-მოქმედო ბაზარი, უმწეო ბავშვთა თავშესაფარის და უფასო სასადილოს სასარგებლოდ. ამ ბაზარზე გასასყიდად დანიშნულია 2000 ნივთი ქველმოქმედთა მიერ შემოწირული. ეს საზოგადოება პირველია, რომელიც ტფილისში დაარსდა და უმწეო ბავშვებს შეძლებისა და გვარად ეხმარება. საზოგადოება ყველა ბავშვებს ეხმარება ეროვნობის განურჩევლად და ამიტომ სასურველია, რომ გავიხსენოთ უმწეო და საცოდავი ბავშვები და ვისაც კი რამდენიც შეგვეძლება დავეხმაროთ საზოგადოებას, რომ საქველმოქმედო ბაზრისაგან რამდენიმე მაინც შემოვიდეს, რომ რამდენსამე უმწეო და უნუგეშო ბავშვს ცრემლი მოსწმინდოს.

⁂ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვარზედ ვეითალები იქმნას გაგზავნილი. მათ თვალ-ყური უნდა ადევნონ იმ საქონელს, რომელსაც ოსმალეთისა და სპარსეთიდგან ამიერ-კავკასიაში გადმოიყვანენ, რათა საქონლის ჭირი არ იქმნას შემოტანილი. საზღვარზედ სულ 29 სავეითალო ნაწილი იქმნება, მათ შორის 3 ქუთაისის გუბერნიაში, 5 ყარსის ოლქში, 9 ერევნის გუბერნიაში, 5 განჯისა და 7 ბაქოს გუბერნიაში. ამ საქმისათვის გადადებულია წელიწადში 72,960 მანეთი.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ი. პრიბილი ბორჩალოს მაზრაში წავიდა სამაზრო და სასოფლო გამგეობათა სარევიზიოდ.

⁂ ამ დღეებში თელავის მაზრის უფროსმა გამოუგზავნა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას 7,000 მან. მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, რომ ამ ზაფხულს სამეურნეო საზოგადოებამ დაურიგა თელავის მაზრის სოფლის საზოგადოებათ ვენახების საწამლელად საჭირო მასალა. ეს ფული ამ ვალშია წარმოდგენილი.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ საბჭომ, უკანასკნელს კრებაზედ, საბოლოოდ დაადგინა გამოისყიდოს 25 ოქტომბერს ტფილისის ცხენის რკინის გზა. ამის მიუხედავად, „ტფ. ფურ.“-ის სიტყვით, ცხენის რკინის გზის დირექტორმა, ბ-ნმა რობიმ შემდეგი საყოველთაო მიწერილობა გაუგზავნა რკინის გზაზედ მოსამსახურეთ: „ვაუწყებთ ცხენის რკინის გზაზედ მოსამსახურეთ, რომ მათი სამსახური ჩათვლილი იქმნება 25 ოქტომბრის შემდეგაც, ამიტომ ის მოსამსახურენი, რომელნიც 25 ოქტომბერს სამსახურში არ გამოცხადდებიან, სამსახურიდგან განთავისუფლებულად იქმნებიან ჩათვლილნი და ხელახლა აღარ მიიღებიან.“

⁂ საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც პურისა და ხორცის ნიხრის დაწესების საქმე აქვს ჩაბარებული, დაადგინა მოუმატოს პურის ნიხრს: 1 ხარისხისას გირვანქას $\frac{1}{2}$ კაპ., ხოლო მეორე და მესამე ხარისხისას $\frac{1}{4}$ კაპ.

⁂ როგორც პეტერბურგიდგან გვატყობინებენ, უკვე შესდგომიან მუშაობას და მალე გამოიცემა სახარება, რომელიც ოთხ სხვა-და-სხვა უძველეს დედნიდგან იქმნება გადმობეჭდილი: ათონისა (913 წლ.), ჯრუჭისა (936 წლ.), პარხალისა (973 წლ.) და ტბეთისა (995 წლ.). ათონის სახარებიდგან ერთი თავი მთლად ფოტოტიპიურად იქმნება გადმოღებული, ხოლო დანარჩენ დედნებიდგან ფოტოტიპიურებადვე ნიმუშები იქმნება მოყვანილი. სახარების გამოცემა ნ. მარრის თაოსნობით არის დაწყებული, მას ამ შრომაში ეხმარება ერთი ქართველი სტუდენტი. სახარება სახელმწიფო ხარჯით დაიბეჭდება.

⁂ 3 ივნისს ქალაქის გამგეობა, როგორც ვუწყით, შეეკითხა რკინის გზათა უსახელო საზოგადოების დირექტორს: 1) რა მოსაზრებით ანგარიშობთ ტფილისის ცხენის რკინის გზის მოგებას 115 ათას მანეთს; 2) ხელშეკრულობის რომელის მუხლის ძალით თხოულობთ, რომ მოგება ერთის წლით ადრე მოგეცეთ ხოლმეო და სხვ. გუშინ, 16 ოქტომბერს, ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების დირექტორმა შეუთვალა ქალაქის გამგეობას, რომ ზემო აღნიშნულ საგნების გამორკვევა ეხლა სულ მეტია, რადგანაც უსახელო საზოგადოების აზრით ქალაქს ამ ჟამად ნება არა აქვს გამოისყიდოს რკინის გზა, ამიტომ იგი შეუძლებლადა სცნობს გადასცეს ქალაქს ტფილისის ცხენის რკინის გზაო.

რაც შეეხება გამგეობის წევრის ქ. ა. ვერმიშევის თხოვნას, რომელიც უსახელო საზოგადოებას რკინის გზაზედ მოსამსახურეთა სიასა სთხოვდა, იგი ბატონმა რობიმ უპასუხოდ დასტოვა.

⁂ იმ კომისიამ, რომელიც ტფილისში სახალხო კითხვებსა ჰმართავს, ქალაქის გამგეობას მიჰმართა და სთხოვა 500 მანეთით დახმარება აღმოგვიჩინეთო.

⁂ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს მთავარმა მკურნალმა სთხოვა ტფილისის პოლიცმეისტერს განკარგულება მოახდინეთ იმის შესახებ, რომ ყვავილით ავადმყოფნი ამ საავადმყოფოში აღარ გამოგზავნონ, რადგანაც თავისუფალი ადგილი იმ განყოფილებაში, სადაც ყვავილით ავადმყოფებს აწვენენ, აღარ არისო.

⁂ სოფ. იანეთი, (ქუთაისის მაზრა). ღვთის რისხვას რომ იტყვიან, სწორედ ის მოგვევლინა: ორის კვირის განუწყვეტელმა კოკის პირულმა წვიმამ აუარებელს ზარალში ჩააგდო მთელი სოფელი. გვიხაროდა,—წელს კარგი მოსავალი გვექმნებაო, მაგრამ ამის ნაცვლად ეხლა იმის ფიქრსა და დარდში ვართ—მთელის წლის განმავლობაში ცოლ-შვილი როგორ გამოვკვებოთ, მტერ მოყვარეს რითი გავცეთ პასუხი. მდინარე რიონმა და გუბისწყალმა არა მარტო სიმინდის ყანები მოგვტაცა, არამედ სახნავ-სათესი მიწებიც-კი აგვიოხრა. მდინარეებს რაც სიმინდები გადაურჩა, იმასაც ვერ უხერხებთ მოტეხას და შინ მოტანას, რადგან ერთობ არის გაჟღენთილი წყლით და ყანებშიაც მუხლამდე ტალახი და წყალი სდგას. 8 ოქტომბერს წვიმამ გადაიღო და გამოიდარა, მაგრამ საშინელი აღმოსავლეთის ქარი ამოვარდა, რომელმაც წვიმაზედ უფრო დიდი ზარალი მოახდინა სოფელში. რამდენსამე საუკეთესო მოსახლე გლეხს ამ ქარის მიზეზით გაუჩნდა ცეცხლი და სულ ერთიანად გადაებუგათ სახლ კარი. თედორე კოპალეიშვილს 400 მანეთი ნაღდი ფულიც დაეწვა, რომელიც სახლში ჰქონოდა შენახული, და პავლე რეხაძეს 120 მან.

◆

წერილი ზუგდიდიდგან

დღემდე ჩვენსკენ ნახევარი თვე გარდაუღებლივ სწვიმდა. დღეს ცოტა გამოიდარა, მაგრამ არ ვიცით, რამდენს ხანს გასტანს. გამუდმებულმა წვიმებმა და სასტიკმა ქარიშხალმა იანვრისა და თებერვლის მსგავსი სიცივე დაატრიალა. თუ ძალიან ტფილად არ გაცვიათ, ოთახიდგან გამოსვლას ვერა ჰბედავთ.

ყველგან მუხლამდე ტალახია. გაფუჭებული ქუჩები და შარა-გზები, რომლის შეკეთება ადვილი და საჭიროც იყო, დღეს მცხოვრებთა უმეტესობას დიდს გაჭირვებაში აყენებს. იმისთანა წყალდიდობა, როგორიც წრეულსაა, არც-კი გვახსოვსო, ამბობენ ხნიერნი. ადიდებულ წყლებისგან სოფლებს დიდი ზარალი მიეცათ. მეტად დაზიანდა სოფლები: კოკი, შამგონა, დარჩელი და განაჯიას-მუხური.

პირველად მოსავალს კარგი პირი უჩანდა და გლეხიც შეჰხაროდა თავის ნამუშევარს, მაგრამ რა-კი ცუდმა ამინდებმა ჭირნახული გააფუჭა, საწყალს მიწის მუშასაც იმედი გაუცრუვდა. სიმინდისთვის ჯერ არავის ხელი არ უხლია; ვაზმა ძალიან ნაკლებ მოისხა და ისიც არ დამწიფებულა.

არა სასიამოვნო სურათს წარმოგვიდგენს ხალხის ჯანმრთელობაც. გამუდმებულ წვიმების გამო რადგან ყველა სოფელში წყლის გუბეები სდგას, ამიტომ სურდო, ციებ-ცხელება და ფილტვების ანთება ხშირია. ზოგიერთ სოფელში მუცლამაც იჩინა თავი.

არა უკეთესს მდგომარეობაში არიან დ. ზუგდიდის მცხოვრებნიც. აქაც

ფილტვების ანთება და ციებ-ცხელება ხშირი სტუმარი გახდა. ვაჭრები შეწუხებულან: ალებ მიცემობა დაეცა; სოფლებიდგან მიმოსვლა შეწყდა; უსაქმოდ ვზივართ და ვაი თუ შიმშილით დავიხოცოთო. უმაღლესის წრის ქალებს სავალალოდ ის გახდომიათ, რომ ცუდის ამინდების გამო მოწმენდილს ცასა და მზიანს დღეს ვერ ველირსეთ, ბუნება ჩვენი მტერია, ოთახებში მომწყვდეულნი ვართ და, როგორც თითონ ამბობენ, „სკუჩნაობა“ სულს გვიხუთავსო.

მართლაც, ზუგდიდში „სკუჩნაობა“ ყველას უხუთავს სულს. ცხოვრების ერთნაირ მიმდინარეობას უჩივიან და მეტად სწუხან, მაგრამ უბრალო დრტვინვით, თუ არ მხნეობითა და შრომით, ზუგდიდლები შორს ვერ წავლენ.

წელს ზუგდიდი უსასყიდლო სამკითხველოს ეღირსა. სამწუხაროდ, მის არსებობას ზუგდიდის დაუდევრობისა გამო დღეს ანუ ხვალ მოეღება ბოლო. სოფლებში თუ ჩვეულებრივი ქურდ-ბაცაცობა ამ ჟამად მოისპო, სამაგიეროდ ქალაქში ჟურნალ-გაზეთების ქურდობამ იჩინა თავი. მაგალითად, ზუგდიდის სამკითხველოს დააკლდა ხუთი წიგნი დოსტოევსკის თხზულებისა, „ივერიის“ №№ 192, 194, 195, 197, 199, 202, 204, 206, ორი ნომერი „კვალისა“ და ერთიც „კრებულისა“.

სამწუხაროა ეს „განათლებული ქურდობა“, მაგრამ მართალი კი არის. ვისმეს თუ წიგნი ანუ ჟურნალ-გაზეთი სჭირდება, უსათუოდ გამგე აძლევს და ნიშნავს კიდეც ჟურნალში. მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სამკითხველო გაივსება სულ სხვა ჯურის ხალხით. ასტეხენ ერთს ხმაურობას და თან თამბაქოს აბოლებენ, რაღა თქმა უნდა, სამკითხველოს გამგეს შეძლება არა აქვს ყველას თვალ-ყური ადევნოს და სწორედ ამ დროს გააყოლებენ ჯიბისაკენ დაკეცილს გაზეთს ანუ წიგნს.

ყველამ კარგად უნდა უწყოდეს, რომ სამკითხველოდგან გამგეს დაუკითხავად წიგნების თუ ჟურნალ-გაზეთის წაღება და უკან არ დაბრუნება კანონით აღკრძალულია. მაგრამ ამის შესახებ თუ კრინტი და სძარით აქ, ვაი თქვენი ბრალი!

ვიმედოვნებთ, რომ სამკითხველოში წესიერება დამყარდება. ის ვაჟბატონები, რომელთაც ზემოდ დასახელებული წიგნები და გაზეთები მიისაკუთრეს, უთუოდ გონს მოვლენ და ბიბლიოთეკას დაუბრუნებენ იმისს საკუთრებას.

მიხაკო ვერმიცანაშვილი

საქალებო სკოლის დაარსება თეკლათის დედათა მონასტერში.

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში ამ მოკლე ხანში დაარსდა ორი დედათა მონასტერი—ჯიხეთისა და თეკლათისა. ქართველ მოღვაწეებმა აქაც დაამტკიცეს, რომ ქართველი დედები უფრო მხნენი და მუყაითნი არიან მამაკაცებთან შედარებით. ყოვლად ნივთიერს საშუალებას მოკლებულთ, მაგრამ ძლიერთ ღვთისა და ერის სიყვარულით, არარაისაგან შექმნეს მთელი ორი მონასტერი და თითოეულმა მონასტერმა თითო საქალებო სკოლა დაარსა თვისის ხარჯით, შარშან დაარსდა სკოლა ჯიხეთის დედათა მონასტერში და წრეულს—თეკლათის მონასტერში.

14 ოქტომბერს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი მობრძანდა თეკლათში, სადაც წირვა მოისმინა. ყველა აღტაცებაში მოიყვანა დაწყნარებულმა, მღერე და მწყობრმა გალობამ დედათა გუნდისამ. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ აკურთხა დროებითი სახლი სკოლისა სამღვდელოებისა, ეპარქიის მეთვალყურისა, მაზრის უფროსის თანაშემწისა, მონასტრის იგუმენის ათანასიასი, მოლოზნებთა და დიდძალ ადგილობრივ საზოგადოების თანდასწრებით. ყოვლად სამღვდელომ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა საეკლესიო განათლების შესახებ და თვისის უხვის კალთისაგან ახლად დაარსებულს სკოლას შესწირა ათი თუმანი. აღტაცებულმა მონაზონთა მწყობრის ქართულის გალობით, ყოვლად სამღვდელომ დაასაჩუქრა მგალობელნი ქებით და ფულით. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ბ-ნმა სალაყაიამ. სადილის შემდეგ ეპარქიის მეთვალყურემ სიტყვა უთხრა კერძოდ იგუმენია ათანასიას და ის აზრი გამოსთქვა, თუ ამ მოკლე ხანში, 20—30 წელიწადში როგორ დაეცა განთქმული, ოჯახის და ქმარშვილის ერთგული და ღვთის-მოყვარე ქართველი ქალი ცრუ სწავლა-განათლების გავლენის გამო და რა დიდი ღვაწლი შეუძლიან მოუტანოს დედათამონასტერს, უკეთუ ახლად დაარსებულ დედათა სკოლა მოსწავლეთა გულში შთაჰბეროს ძლიერს სულს ღვთის მოყვარეობისასა და განთქმულს მხნეობას ძველ ქართველ დედებისას.

ეპარქიის მეთვალყურემ ფოთიდგან მოიყვანა ხუროთ-მოძღვარი და მან იმავე დღეს აარჩია ალაგი ახლად დაარსებულის სკოლის შენობისათვის, რომელიც დედათა მონასტერს დაუჯდება არა უმცირეს რვაასის თუმნისა. თუმცა დედებს ამისი ნახევარიც არა აქვთ ხელში, მაგრამ იგინი დარწმუნებულნი არიან, რომ რასაც კაცი გულითა და სულით მოინდომებს, ყველას იშოვის, პოეტისა არ იყოს: „მხნემან, ვით წყალმან ძლიერმან, განხეთქოს მთა და გორაა“.

ერთი საყურადღებო ამბავიც: თეკლათის ახლო, ძველ საყდრის ნანგრევებში ამ ორიოდ წლის წინად დასახლდა ორი ბერი, რომელთაც მთელს სამეგრელო-გურიაში სახელი განითქვეს წმიდა ცხოვრებით. ისინი სხვას არას სთხოვენ, თავისის ხელით ირჩენენ თავს და შეძლებისამებრ სხვებსაც ჰშველიან. უდიდესმა მათმა მოღვაწეობით სავსე ცხოვრებამ ყურადღება მიიქცია სოფლელ ხალხისა და თანდათან მრავლდება იმ პატარა ტაძრის თაყვანისმცემელთა რიცხვი, რომელსაც თავი შეაფარეს ამ ძველებურ ბერობის განმასახიერებელთა.

— ინანი —

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. ერედვი, 10 ოქტომბერი. გათავდა კალოობა, რომელმაც ვერ მოგვიმადლიერა თავისის მცირე მოსავლით. დღეს გახშირებული რთველობაა და, როგორც ეტყობა, არც ეს იქნება შედარებით რიგიანი: ჯერ ერთი, იმიტომ-რომ ვაზი სიცივემ წაახდინა გაზაფხულზედ, მერე მოვიდა სეტყვა, ამ ს მიუმატეთ ნაცარი, სხვა-და-სხვა ავადმყოფობა ვაზისა, რომელსაც არა ვპატრონობთ და არ ვეწყობით წამლობასა, რასაკვირველია, ყველამ უწყით შედეგი ამისი. ასე და ამგვარად ერედველების ვარცლის ბოძები ძალიან მალე შეიქმნს თახთახს.

21 ენკენისთვიდგან 6 ოქტომბრამდის გადუღებლივ სწვიმდა და ხალხს არა დაუთესია-რა. მერე ჩვენში თუ მეორედ არ მოიხნა ანეულის ხნული ორხლით, არა მოვა-რა და ამ აგვიანებულმა ავდარმა ძალიან უკან დააყენა მუშა ხალხი. ეს სამი-ოთხი დღეა, რაც გამოიდარა და ღმერთმა იცის, რა იქნება შემდეგში!..

ავად თუ კარგად ერთსა და ორს ნაკლს ადამიანი რითიც იქნება გაუძლებს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ქურდ-ბაცაცობა ასტყდა და მოსვენება აღარ არის. იშვიათად შეხვდებით ვენახს, რომ გაქურდული, ნაკრეფი არ იყოს. გარდა ამისა, იკარგება: ცხენი, ძროხა, ხარი, ღორი და სხვა. ქურდობის შესახებ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი და არ იქნება ურიგო მოგახსენოთ ორიოდე უცნაური ამბავიც: ერთს გლეხს, გვარად ბორცვაძეს, რომელიც ღორების მოშენებას მისდევს და ჰყავს კიდეც, გადაეკიდნენ ქურდები. რამდენჯერმე ეწვივნენ დაუპატიჟებელი და არა-მკითხე სტუმრები, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ღორების პატრონი ფრთხილი აღმოჩნდა, ხან ნაქურდალი დააყრევინა და ხან გაუგო. ყოველივე ეს, რასაკვირველია, გამოუცხადა ადგილობრივს მამასახლისს და თან დასძინა: უკეთუ მოვიდა ვინმე კიდევ, ვესვრი თოფს და უსიკვდილოდ ვერ გადამირჩებაო. მართლაც, არ გაუვლია მას შემდეგ ერთს კვირას, რომ არა სასიამოვნო სტუმრები ეწვივნენ ღორების პატრონს და იმ დროს, როდესაც ქურდებს უნდოდათ გარეკა ღორებისა, ესროლა თოფი. ღორების პატრონის სიტყვით, წაბარბაცდა ერთი, სტაცეს ორმა ამხანაგმა ხელი და მიიმალნენ. მეორე დღეს დადიოდა სამი ოსი, რომელნიც აქვე ახლო მეზობლად დგანან და დაეძებდნენ ღვინოს. ჰკითხეს სოფლელებმა, რად გინდათ ღვინოო, და ოსებმა უპასუხეს: ამა და ამ კაცის შვილი სიმინდის ძარმა დაიტანა, მოკვდა და ვმარხავთო. ღორების პატრონი-კი ამტკიცებს, რომ ძარმა კი არა, ჩემმა თოფმა მოჰკლა, როდესაც ღორებსა მპარავდაო. ეს გამოეცხადა ბოქაულსაც და მან რა განკარგულება მოახდინა, არ ვიცით. არ არის დიდი ხანი რაც ზემო დასახელებული ოსები დააყენეს ადგილობრივმა მამულის პატრონებმა და აჩეხინებენ ტყეს.

მეორე ქურდობა. თავლიდგან გაიყვანეს თ. ვ. ფავლენიშვილის ულაყი ცხენი, ღირებული შვიდ-რვა თუმნად. სადიყვნენ ამ დროს შვიდი-რვა მოსამსახურე ბიჭი, ან ოთხ ფეხნი, როცა ცხენი გაიყვანეს, ესეც ღმერთმა უწყის!.. დღეს ეს ცხენი ერთმევა სოფელს და თუ არა ვცდებით თხუთმეტი თუმანია გაწერილი. ახირებულია თქვენმა მზემ: ჯიბიდგან ფული დავკარგო და სოფელმა გადამიხადოს?!?. სოფელი მოვალეა გადიხადოს იმისთანა რამ დანაკარგი, რომლისათვისაც გარეული ქურდი არ მოვა, რაიცა შეეხება ცხენს, ანუ სხვა სხვილ საქონელს, რომელსაც თავლიდგან გაიყვანენ, მაშინ როდესაც შვიდი-რვა მოსამსახურეა შიგ, აქ სოფელი არაფერს შუაშია. როგორც ვიცით მდგომარეობა და მისავალ-მოსავალი, თუ არ შინაური, გარეშე ვერავინ მოვა. შინაურებიც მოსამსახურენი არიან და თუ გარდახდაა, იმათ უნდა გარდაიხადონ და არა სოფელმა.

ეს კანონიღა აკლდა ჩვენს უვიცს ხალხს. დღეის იქით ვისაც ურიგისი საქონელი ჰყავს, შეუძლიან სრულიად ყური არ უგდოს, ძალათ დაჰკარგოს, ან თავისს თავს თვითვე მოჰპაროს და გადაახდევინოს სოფელს. მერე ცოტაა სულ მდაბალი ხალხი თუ?!? ამის გამო იტყვიან აი: „ყვავს ბახალა მოუკვდა, ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს, შენ იტირეო!

აგერ თითქმის ერთი წელიწადია რაღაც ავადმყოფობა გაჩნდა ჩვენში, რომელიც ციებით აწყებინებს, ასტკივა მთელი სხეული, მოუდუნდება მკლავები, მუხლები, მისცემს საშინელს სიცხეს, აბოდებს და ვიდრე ოფლი არ მოუვა, არის ერთს ვაი-ვაგლახში. იმსხვერპლა კიდეც ორი ადამიანი. მართალია, ექიმიც, ფერშლებიც ჩვენზედ სულ სამი-ოთხის ვერსის მანძილის სიშორეზედ არიან, მაგრამ, ნათქვამია: ჩემი ურგები შეჰმადი წყალსაო და ქოთანი ქვასო!..

რაც შეეხება ჩვენს სამრევლო სკოლას, სძინავს სალათას ძილით და დიდხანსაც ეძინება, ისეთი ერთგული ხალხი ვახვევივართ გარს!.. ან კი რაღ გვინდა სკოლა?!. ხარჯის მეტს რას მოგვიტანს?!. ჩვენ, ბატონებო, ერედველები, თავად-გლეხებიანად, ქალიან კაცებიანად და დიდით პატარამდე მცოდნე ხალხი გახლავართ!.. ეს კი სათქმელია, მართალი რომ მოგახსენოთ, რომ ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, ძალიან ბევრი, ჩვენს პატარა ხევში, ვიდრე ადამიანებად ვიქცეოდეთ.

რ. ცრედველი

—

ს. ხვარბეთი. (ოზურგეთის მაზრა). 1892 წელს ადგილობრივ პოლიციის ბოქაულის თანადასწრებით და წინადადებით, ხვარბეთის საზოგადოებამ დაადგინა: იმ დარაჯთა შესანახად, რომელნიც ოზურგეთსა და ნატანების სადგურს შუა ფოსტას მიჰყვებ მოჰყვებიან, წლიურად ვიხადოთ 136 მან. ამ დადგენილების პირი ერთი ხვარბეთის სოფლის სამმართველოში ინახება, ხოლო მეორე ოზურგეთის მაზრის სამმართველოში. ამ დადგენილების მიუხედავად 1894 წლიდგან 136 მან. ნაცვლად 270 მანეთის გარდახდა დაავალეს სოფელს. არ იფიქროთ, ვითომც ძველი დაადგენილება გაეუქმებინოთ და მის ნაცვლად ახალი დაედგინოთ!არა. დადგინება ისევ ძველია, რომლის ძალით სოფელი ვალდებულია იხადოს მხოლოდ 136 მან., ხოლო დანაშთენ 134 მან. გარდახდა რის ძალით და ვინ აკისრებინა სოფელს, ალახმა უწყის. საკვირველია, ღმერთმანი, თუ 136 მან. გამოღებისთვის სოფელს განაჩენი დაადგენინეს 1892 წელს, რატომ 1894 წ., როცა იმ 136 მ. 134 მ. დაუმატეს და 270 მ. გაჰხადეს, არ დარჩა საჭირო სოფლის დადგენილება?!

ახალმა მაზრის უფროსმა გასულ აგვისტოში ხვარბეთის მამასახლისს მიწერილობა გაუგზავნა, რომლიდგანაც სჩანს, რომ 270 მან., რომელსაც სოფელი იხდის დარაჯთა შესანახად, შემცირებულ იქმნა; ამის შემდეგ 270 მ. მაგიერ სოფელს გამოერთმევა 190 მანეთიო. ბ-ნ მაზრის უფროსის მიწერილობა სიტყვა-სიტყვით მომყავს აქვე: „იმ 11 დარაჯთა შესანახად, რომელნიც დაქირავებულნი არიან გურიანთის საბოქაულოს სოფლების ხარჯით, ხვარბეთის საზოგადოება დღემდის იხდიდა 270 მ. ამა წლის 1 ივლისიდგან დარაჯთა რიცხვი შემცირდა 7-ით, მაშასადამე დღეს ირიცხება ხუთი კაცი; სამი მათგანი ფოსტას მიჰყვებ-მოჰყვება, ხოლო ორი ნატანების სადგურზედ ფოსტის განყოფილებასთან სდგას. დღემდის 11 დარაჯის შესანახად გურიანთის საბოქაულო იხდიდა 1980 მან., ეხლა-კი იხდის 1456 მ., ხვარბეთის საზოკადოებას შეხვდა 190 მან“.

ძალიან სასიამოვნოა, რომ ბ-ნი მაზრის უფროსი ხალხის მდგომარეობაში შესულა და დარაჯთა რიცხვი შესამჩნევად შეუმცირებია, მაგრამ ერთი რამ გაუგებარი რჩება—დარაჯთა რიცხვის შემცირების დაგვარად გარდასახადი როდი მცირდება! 11 დარაჯს თუ წინად ეძლეოდა 1980 მ., ერთს შეხვდება 180 მ., მაშასადამე, ხუთს დასჭირდება 900 მან. და არა 1456.

რადგანაც ეხლა დარაჯთა რაოდენობა განახევრდა, ხვარბეთსაც გარდასახადი უნდა გაუნახევრდეს იმის კვალობაზედვე, ე. ი. 136 მანეთის ნაცვლად 68 მან. უნდა გარდახდეს.

ჟორჟი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამას წინად კრება ჰქონია ხალხის ჯანმრთელობის დამცველ საზოგადოების იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ლოთობის და ალკოჰოლის ბოროტად ხმარების წინააღმდეგი საშუალებანი ილონოს. კომისიამ რამდენიმე მოხსენება მოისმინა და აი, რა დაადგინაო, სწერს გაზ. „Новости“:

1) ალკოჰოლი თავისდა თავად მავნებელი ნივთიერებაა, მომშხამველი ადამიანის სხეულისა, განსაკუთრებით ნერვებისა. ალკოჰოლი ადუნებს, აბლუნგებს ადამიანს ცოტაოდენ აცხოველების და ამოძრავების შემდეგ. ხოლო მეცნიერება სცდილობს გამოიგონოს ისეთი ნივთიერებანი, ადამიანის ცხოველება შეეძლოს და მისი მომდუნებელი თვისება-კი არა ჰქონდეს, ასეთია, მაგალითებრ, ჩაი, ყავა.

2) კარგია, რასაკვირველია, ჭაჭის არაყი დიდად იწმინდებოდეს, მაგრამ ალკოჰოლის ხმარების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ამას მაგდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამას გარდა, მხნედ უნდა ვეცადოთ, რომ რაც-კა შეიძლება, შევზღუდოთ და შევამციროთ ხმარება არაყისა ხალხში, ისე-კი, რომ ამასთანავე ანგარიში გავუწიოთ ხალხის ცხოვრებისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებასა.

3) რაც უნდა კარგად და საუკეთესოდ იყოს არაყი დაწმენდილი, იგი ჯანისათვის მარგებელ სასმელად ვერ ჩაითვლება, თუნდა ადამიანი ძალიან ზომიერადაც ჰხმარობდეს. ისე-კი ძნელად დასაჯერებელი და საეჭვოა, რომ ხალხმა ზომიერად იხმაროს იგი, რადგან ალკოჰოლს, რო-

გორც უკვლა სხვა დამათრობელს ნივთიერებას, თვისებად აქვს შეიჩვიოს, მიიზიდოს ადამიანი და თანდათან უფრო დიდად შეაყვაროს თავი. ეს მიჩვევა და სიყვარული ხშირად ძნელი დასაძლევია, მით უმეტეს, რომ ხასიათი და ნება, რაც უფრო მეტს ალკოჰოლსა ჰხმარობს ადამიანი, მით უფრო უსუსტდება და ულაჩრდება.

4) შეუძლებელია, რომ ღვინო, ლუდი და სხვა ამგვარი სასმელები, რომელშიაც-კი სპირტი ურევია, მარგებელ, ანუ უვნებელ სასმლად იქმნას აღიარებული, ხოლო რადგან ამ სასმელებში ალკოჰოლი ნაკლებად ურევია, თუ კარგის ღირსებისაა და შეურეველი, უპირატესობა ამათ უნდა მიეცეთ არაყთან შედარებით. მეორეს მხრივ სახეში მისაღებია ის გარემოებაც, რომ თუ ეს სასმელები უზომოდ იხმარა ადამიანმა, ასეთი ხმარება არაყზედ ნაკლებს ზიანს არ მისცემს, მეტადრე ხმარება ლუდისა, რომლის ჭარბად ხმარება განსაკუთრებით მავნებელია ადამიანის აგებულებისათვისაო.

დასასრულ კომისია იმ აზრს დასდგომია, რომ რათა შევამციროთ ის ვნება, რომელიც სპირტ-ნარევ სასმელების ხმარებას მოაქვს, უნდა ხელი შევუწყოთ სუსტ სასმელების ხმარებას, განსაკუთრებით ნამდვილ ღვინისას, ისე-კი, რომ სასტიკი მეთვალ-ყურეობა იყოს დაწესებული და ნარევ და შეზავებულ ღვინის გაყიდვა არავის შეეძლოს. ხოლო რომ ხალხიც იძულებულ ვყოთ სუსტ სასმელების ხმარებას, სასურველია, რომ მაგარ სასმელებს დიდი სააქციზო გარდასახადი დაედოს და დაწესებულ იქმნას, რომ ღვინო 12° მაგარი არ იყოს, ხოლო ლუდი 3°-ზედ მაგარი, თუ უნდათ, რომ გარდასახადი არა დაედოს-რაო.

◆◆

რუსეთი

—

„Сынъ От.“-ის სიტყვით, ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს ნორმალურ წესდების პროექტს საქველ-მოქმედო დაწესებულებათათვის.

— სხვა-და-სხვა სამინისტროს წარმომადგენელთაგან შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ ამას წინად შეიმუშავა პროექტი იმისა, რომ როგორც სამინისტროს, აგრეთვე სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში შემოღებულ იქმნას სასოფლო-მეურნეობის სწავლება. „Рус. Лис.“-ის სიტყვით, მთავრობამ ამ პროექტის განხორციელება შეუძლებლადა სცნო, რადგანაც ამ საქმისათვის საჭირო ფული არ არისო.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ოლქის სასამართლოებთან დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული ბიუროები. დანიშნულება ამ ბიუროებისა ის იქმნება, რომ დარიგება და რჩევა მისცენ ხოლმე იმათ, ვისაც შეძლება არა ექმნება ვექილებს მიჰმართოს.

— ამ ზაფხულს ზოგიერთი საგუბერნიო ქალაქი განთავისუფლებულ იქმნა იმ ხარჯისაგან, რომელიც პოლიციის შენახვას უნდება. ამ ჟამად, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება შეაქვს სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ ასეთისავე ხარჯისაგან განთავისუფლებულ იქმნას ყველა ის ქალაქი, რომელიც ქონებრივად გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

— ელექტრონის საზოგადოებას აზრადა აქვს დააარსოს განსაკუთრებული ფონდი. ამ ფონდის პროცენტები მიეცემა რუსეთის იმ ქვეშევრდომთ, რომელნიც ელექტრო ტეხნიკის საქმეში ახალს რასმეს გამოიგონებენ.

◆◆

უცხოეთი

—

საფრანგეთი. გაზ. „Times“-ი რუსეთის სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრების პარიჟში მისვლის შესახებ შემდეგს ამბობს:

სამხედრო მინისტრი გენერალი კუროპატკინი პარიჟში იმ განზრახვით მივიდა, რომ თავისის თვალით ენახა და დარწმუნებულიყო — უკანასკნელმა ამბებმა და დრეიფუსის საქმემ როგორი ზეგავლენა იქონია საფრანგეთის ჯარზედ; სულით ხომ არ დაეცა იგი ანუ სასოწარკვეთილებაში ხომ არ ჩავარდაო. მინისტრს საშიში ნიშნები არა შეუმჩნევია რა და საფრანგეთის მხედრობა საზოგადოდ კარგად მოსწონებია. გრაფ მურავიოვს, იმავე გაზეთის სიტყვით, ბრისონის კაბინეტის გაცნობა სდომებია და მინისტრ დელკასესთან პირის-პირ მოლაპარაკება და ამიტომ წასულა პარიჟში. გრაფ მურავიოვს ვითომ რჩევა მიეცეს დელკასესათვის, — მომეტებული თავ-დაჭერა საჭირო და სასურველია, ინგლისმა და საფრანგეთმა ფაშოდას გამო ატეხილი დავა მშვიდობიანად დაასრულონო.

—

შვეიცარია. ავსტრიის დედოფლის მკვლელმა ანარქისტმა ლუკენიმ ვექილი არ აირჩია. მე თითონ ვილაპარაკებ, რაც მინდაო, განაცხადა მან. მაგრამ სასამართლომ ლუკენის დაცვა, მისს გასამართლების დროს, ცნობილს იურისტს პიერ მორიოს მიანდო. ეს უკანასკნელი საპყრობილეში მისულა ლუკენთან და საჭირო ცნობები მოუთხოვია. ლუკენი ერთობ დამშვიდებული ყოფილა და ზრდილობიანად დახვედრია მორიოს. ლუკენის უთქვამს, რომ ჩემთვის სრულებით საჭირო არ იყო ვექილი, მაგრამ რადგან ამას ამ ქვეყნის კანონი თხოულობს, მეც ძალა-უნებურად უნდა დავემორჩილოვო.

მორიო მთელი ერთი საათი დარჩენილა საპყრობილეში, მაგრამ ლუკენისაგან ახალი არა გაუგია-რა. იგი არაოდეს არ ჰყოფდა უარს თავისს დანაშაულობას და მორიოსთანაც წინანდელი თავისი ჩვენება ცოტაოდნათაც არ შეუცვლია. დასასრულ, როგორც იქმნა, ხელი მოუწერია მას ქაღალდზედ — პიერ მორიოს ვირჩევ ჩემს ვექილადო და ყველა საბუთის ქაღალდი გარდაეცა მისთვის.

—

შეერთებული შტატები. რესპუბლიკელთა დასის ყველა თვალ-საჩინო მოთავეს ის აზრი გამოუთქვამს, რომ შეერთებულმა შტატებმა ახალი მამულები უნდა შეიძინოს და მხედრობა და ფლოტი გააძლიეროსო. პრეზიდენტის მაკ-კინლეის სიტყვიდგან, რომელიც მას ჩიკაგოში წასვლის დროს წარმოუთქვამს, ეგევე აზრი გამოჰყავთ. პრეზიდენტს, სხვათა შორის, უთქვამს, რომ შტატები არც ერთს ადგილზედ უარს არ იტყვის, რომელიც შეიძლება ისპანიას მოვსთხოვოთ, რადგან მასზედ გა[illegible]რჯვეთო. შეერთებულ შტატების ჯარი დარწმუნებულია, რომ ომი ტყუილ უბრალოდ როდი აგვიტეხიაო. რა პატივის ცემითაც მეგებებიან მე ყველგან, ეს იმას ამტკიცებს, რომ ქვეყანა კმაყოფილია იმის შედეგით და სჯერა, რომ გამარჯვება მუქთად არ ჩავვიგდიასო.

—

ფილიპის კუნძულები. მანილადგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ იქ ერთმანეთთან შეტაკება მოსვლიათ ამერიკელებს და ადგილობრივ ჯარს. შეტაკების მიზეზი ისა ყოფილა, რომ ადმირალს დევეის უკანასკნელთათვის ნება არ მიუცია მანილაში რესპუბლიკანურ დროშის ამართვისა: ორივე მხარეს დიდი ზარალი უნახავს. ამერიკელებს იმათთვის გემები წაურთმევია. ამერიკელებსა და ადგილობრივ მეამბოხეთა შორის განხეთქილება ომიანობის დროსაც იყო, მაგრამ ერთმანეთთან ასეთი შეტაკება ჯერ არ მოხდომიათ. ეხლანდელი შეტაკება რისი მომასწავებელია, იმისა, რომ ამერიკელები ფილიპეს კუნძულების თავის დანებებას არ აპირებენ და ეს ადგილობრივ მკვიდრთ არ ეჭაშნიკებათ, თუ იმისა, რომ ამ კუნძულების შესახებ ჯერ გარდაწყვეტილი არა დაუდგენია რა პარიჟის კონფერენციას და ამიტომ იქაურ მკვიდრთ ფართე თავისუფლებას არ აძლევენ ჯერ ამერიკელები, არავინ იცის. ეს კია, რომ ფილიპელებს იმ თავითვე არ უყვარდათ ამერიკელები და ეს კუნძულები ამერიკას თუ დარჩა, შფოთი და არეულობა არაოდეს არ გამოილევა იქ, როგორც ეს ესპანელების მფლობელობას დროს იყო.

◆◆

კინტოს ვედრება

—

ქალო, წყნარო, ნარნარო,
ტან-წერწეტავ, ტან-საროჴ!
ვარდო სახე-მზიანო,
გიშრის თვალ-წარბიანო;
თაფლო, ტკბილო ხმიანო,
ლამაზ ხუჭუჭ-თმიანო;
ველო ყვავილიანო,
ჯეირნის მწვადო მცვრიანო;
ხატო ჰკვა-მადლიანო,
პაწაწ ხელ-ფეხიანო!
ერთი მაგ შენ ლოყაზედ
მე „პაჩი“ მაქნევინე,
მერე თუნდა, გენაცვა,
მთა და კლდე მახვნევინე,
თუნდ მომკალ, გვრიტიკოჯან,
კოცნა მით მაზღვევინე,
თუნდ ეშმაკების სისხლით
ქვეყანა მარწყვევინე!..

დ. მაჩხანელი

◆◆

დამაკვირდი

დაიუკენ ყურნი სმენად ბილწთა სიტყვათა, ხოლო კეთილთა სმენად განაღებდი მათ: რამეთუ მცირე ადგილი მახილავს მე შორის სმენისა, თქმისა და საქმით ქმნისა.

ნიკოლოზ ტფილელი

• • •

დრო და ხანი დიდი მასწავლებელია.

კორნელი

• • •

უბედურს კაცს თავი ბედნიერად მიაჩნია, როდესაც უბედურობა მცირედაც არის უმსუბუქდება.

ბ. დ—შვილი

◆◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მკურნალი მოსტოვიჩი სწერს ერთს რუსულს ჟურნალში. („Врачъ—гомеопатъ“):

შარშან ზამთარში ვწამლობდი ქ. გორში ერთს ვაჭარს, 35 წლის სომეხს, გ. გ. არშაკუნის, რომელსაც ორთავე მუხლზედ გამოაჩნდა შაურიანის ოდენა იარა, რიცხვით, 30-მდე. წამლობით ვერაფერს გავხდი: ერთს იარას რომ მოვარჩენდი, მეორე გაჩნდებოდა, მუხლებსა სტეხავდა და ფეხები უსივდებოდა.

არშაკუნის სრულიად დაეკარგა მორჩენის იმედი და მხოლოდ უფალს-ღა მიჰმართა.

შაბათს, ვნების კვირას, არშაკუნი უფლის-ციხეში წავიდა. ეს ეკკლესია მაღლობზე არის აშენებული. ქვემოდ, მთის ძირში პატარა სოფელია სომხებისა და აქვე არის სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესია.

შაბათს არშაკუნიმ ილოცა ქართველთა ეკკლესიაში და ორშაბათს სომხეთა ეკკლესიაში. სამშაბათს დილით რომ გამოიღვიძა, სრულიად ჯან-საღად იყო.

მკურნალმა მოსტოვიჩმა გასინჯა ავადმყოფი და აღმოჩნდა, რომ იარები სრულიად მორჩენილი ჰქონდა და არც ტკივილსა ჰგრძნობდა. ბ-ნი მოსტოვიჩივე ამტკიცებს, რომ ამ დროს განმავლობაში არშაკუნის სრულებით არავითარი წამალი არ მიუკარებიაო.

* * *

ამერიკელებმა თავისებურად გადასწყვიტეს საქმე იარაღის აყრისა. ამერიკის ერთს ქარხანას თოფები და ზარბაზნები შეუკვეთეს თურმე, მაგრამ ქარხანამ უარი სთქვა, ვერც თოფებსა და ვერც ზარბაზნებს ვერ გავაკეთებთ, რადგანაც ხალხის დახოცვა არ მინდაო. მართალია, ამით ჯერ დედამიწაზე მშვიდობიანობა არ დამყარდება, მაგრამ თუ ყველა ქარხნებმა უარი განაცხადეს იარაღის გაკეთებაზე, მაშინ ომი თავის თავად მოისპობა.

◆◆

სასამართლოს მატიანე

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონისა და ა. ლ. აბაზაძის საქმე.

—

ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ განიხილა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონისა და ა. ლ. აბაზაძის საქმე. ამ საქმის ვითარება შემდეგია: ბ-ნი ა. ლ. აბაზაძე უჩიოდა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს, — 1895 წლის 10 ივნისს ამიყვანა ყველა თავისის მამულის მოურავად იმ პირობით, რომ თვეში ოცი თუმანი ეძლია და წმინდა შემოსავლის ათის თავიო. 2 წელიწადი და 11 თვე ვემსახურე და თუმცა პირობის წერილი ათის წლის ვადით იყო დაწერილი, მაგრამ სამი წელიწადიც არ მემსახურნა, რომ თავ. მუხრან-ბატონმა უმიზეზოდ დამითხოვაო. ამიტომ სთხოვა სასამართლოს, რომ განიხილეთ ჩემი საქმე და მომისაჯეთ ის ჯამაგირი, რაც მერგებოდა, ათს წელიწადს რომ მე მსახურნა, 17,160 მან. და კიდევ 10°/₀ წმინდა შემოსავლისაო.

სასამართლოში გამოცხადდნენ თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის მხრივ ნაფიცი ვექილი ი. ს. ტერ-სტეფანოვი, ხოლო ბ-ნ ალექსანდრე ლევანის ძის აბაზაძის მხრივ ნაფიცი ვექილი არუთინოვი. იქვე იყო თვით მომჩივანი აბაზაძეც. სასამართლოში საქმის გარჩევაზედ საკმაოდ დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მოპასუხის ვექილმა ბ-ნმა ი. ტერ-სტეფანოვმა აღძრულ დავის პასუხად განაცხადა, რომ აბაზაძეს არაფერი უფლება არა აქვს პირობის წერილის აღსრულება მოითხოვოს, რადგან ეს პირობა თითონვე დაარღვია, სახელდობრ მერვე მუხლი პირობისა, სადაც მოხსენებულია, რომ აბაზაძე სამსახურის დროს არა კეთილ სინდისიერად და აშკარა დაუდევრად არ უნდა მოიქცეს. ეგ-კი რიგიანად არ ასრულებდა თავისს თანამდებობასაო. ვექილმა ამის მაგალითებიც მოიყვანა. ულობეებოდა სტოვებდა მამულს, უპირობის-წერილოდ აძლევდა გლეხებს იჯარით მიწას, ხუთი საქმე აღძრა სასამართლოში გლეხების წინააღმდეგ, რომელთაც თავ. მუხრან-ბატონის ტყე გაეკაფათ, და რწმუნების წერილები-კი არ წარადგინა, რის გამოც ეს საქმეები მოსპობილ იქმნაო და სხ. ბოლოს სთხოვა სასამართლოს, მომჩივანს უარი უთხარითო.

ამის პასუხად მოდავეს ვექილმა ბ-ნმა არუთინოვმა სთქვა, რომ თუნდა ყოველივე ეგ ჩაედინოს კიდეც ჩემს მარწმუნებელს, მაინც საბუთი არა ჰქონდა დაეთხოვნა თავ. მუხრან-ბატონს იგი, რადგან მაგ გვარი წვრილმანი უყურადღებობა ყოველ სამსახურში მოხდება ხოლმე. პირ-იქით, მე მოწმეთა ჩვენებით დავამტკიცებ, რომ ბ-ნი აბაზაძე ყოველთვის გულმოდგინედ ეპყრობოდა თავისს საქმეს, გადამხმარს ვენახებს უწამლა და მოაბრუნა. დათხოვნამდე თვით თავ. მუხრან-ბატონივე აქებდა თავისს მოურავს და მადლიერი იყო იმისი, 1896 წელს ჰშუამდგომლობდა კიდეც წერილობით, რომ მისთვის ხარისხი მიეცათ და დაეჯილდოვებინათ. შემდეგ-კი მამულის გაყიდვა მოინდომა და ადრევე მოიშორა მოურავი, ნოტარიუსის ხელით ქაღალდი წარუგზავნა, დაუდევრად იქცევიო, რათა თავიდგან აეცილებინა პირობის ასრულება. ბ-ნი აბაზაძე რომ პირნათლად ასრულებდა თავისს მოვალეობას, ამას ამტკიცებს თავ. ალექსანდრე მუხრან-ბატონის რამდენიმე წერილიც, მასთან მიწერილი. ვექილმა ყოველ ამისი საბუთი წარადგინა და სთხოვა, მიუსაჯეთ ჩემს მარწმუნებელს სადავო ფული და თუ ამას არ დაინახავთ შესაძლებელად, გთხოვთ გადასდოთ და მოწმეები დაიბაროთ იმის დასამტკიცებლად, რომ აბაზაძე თავისს თანამდებობას პირ-ნათლად და სინდისიერად ასრულებდაო.

სასამართლომ კარგა ხნის თათბირს შემდეგ ასეთი განაჩენი დაადგინა: გარდახდეს თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს მომჩივანის ა. ლ. აბაზაძის სასარგებლოდ 17,133 მან. და 10°/₀ თავ. მუხრან ბატონის მამულების წმინდა შემოსავლისა იმ ხნისა, რაც უმსახურნია, დანარჩენში უარი ეთქვასო.

◆◆

გამოსადეგი ცნობა

სარდაფში ხშირად ხორაგი ნესტის სუნს აიღებს ხოლმე და გემოდაც ჰფუჭდება. რომ ეს ასე არ მოხდეს და ხორაგი არ წახდეს, იატაკი სარდაფისა უნდა მოჰფინოთ დანაყილ ნახშირითა ორჯერ, თუ სამჯერ თვეში, როგორც საჭიროება მოითხოვს.

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

—

„კვალის“ მე-39 №-ში დაბეჭდილია ბათუმიდგან კორესპონდენცია, რომელშიაც მოთხრობილია, რომ ახლა მდ. ამუდარიაზედ ხიდს აკეთებენ ინჟენერი —ძის მეთვალყურეობით; ამ ინჟინერთან ქართველ მუშების დეპუტაცია მივიდა და სთხოვა სამუშაო, მაგრამ ინჟენერმა, რიგიანის პასუხის მაგიერ, ამ სიტყვებით გაისტუმრა დეპუტაცია

„проваливайся, здѣсь по собачій (?) не говорятъ, говори по человѣческій (?)“ (არ ვიცი, ვისია ეს სიტყვები: კორესპონდენტისა, თუ „კვალის“ რედაქციისა)

რადგანაც ამუ-დარიის ხიდზედ ინჟენერ—ძე მე გახლავართ, ცხადია, რომ კორესპონდენცია მე შეეხება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ეს ამბავი თავიდგან ბოლომდინ სიცრუეა: ჩემთან არც რომელიმე დეპუტაცია მოსულა და არც ასეთის უშვერის სიტყვებით გამისტუმრებია იგი. მიკვირს, რამ აიძულა კორესპონდენტი, მერე ისიც ბათომში და არა ამუ-დარიაზედ, ასეთი ცრუ ამბავი შეთხზა ჩემ შესახებ. უფრო ის მაკვირვებს, რომ „კვალის“ რედაქციამ დაჰბეჭდა ასეთი სიცრუვე და თავის მოვალეობად არ სცნო შეეტყო, აქვს რაიმე ნამდვილი საფუძველი ასეთ კორესპონდენციას თუ არა. აბა რა დასაჯერებელია, რომ მე დავუძახო ძაღლის ენა იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ჩემი მამა-პაპანი, ლაპარაკობს დედა ჩემი და ვლაპარაკობ მეც და რომელიც, მაშასადამე, ჩემი ღვიძლი ენა არის?! თუ ასე ადვილად დაიჯერა ეს დაუჯერებელი ანბავი „კვალის“ რედაქციამ და მისცა ადგილი თავისს გაზეთში, ხვალ ხომ იმას დაჰბეჭდავს, რომ ამა-და-ამ განათლებულმა კაცმა სხვას ჯიბიდგან ცხვირსახოცი ამოაცალაო.

ვიმეორებ, რომ კორესპონდენტის მხრივ იმდენად არ მიკვირს ასეთი საქციელი, რადგან ყოველ კაცს ჰყავს მომდურავი და შეიძლება პირადმა უკმაყოფილებამ ასეთი კორესპონდენცია დაჰბადოს; ხოლო რედაქცია კი ფრთხილად უნდა იყოს და ასეთის გრძნობის ნაყოფს თავისს გაზეთში ადგილი არ უნდა მისცეს. თუ ეს დედა-აზრი ვერ შეუგნია „კვალის“ რედაქციას, სრული უფლება გვაქვს გავახსენოთ ჰიოტეს სიტყვები: „მეტი სინათლე, მეტი სინათლე“, რომელიც ასეთის რიხით განიმეორა თვითვე ამას წინად, და ვთქვათ, რომ ასეთი გაზეთი, სიმართლისა რა მოგახსენო, და სიცრუესა და ჭორს-კი მეტის-მეტს გაავრცელებს.

ინჟენერი გრ. ქიქოძე

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 ოქტომბერი

პარიჟი. სრული მშვიდობიანობაა, პარიჟს ჩვეულებრივი სახე დაედო.

პარიჟი. სასამართლოში გერენის საქმე ირჩეოდა და გადადებულ იქმნა ორის კვირით. დრიუმონმა, მილკუამ და დასიესმა, რომელნიც სასამართლოში დაესწრენ, ხმაურობა ასტეხეს და სასამართლოს შენობაში დაინძრენ; მათ ას კაცამდე სხვები მიჰყვებოდნენ. შემდეგ ისინი საკასაციო პალატისკენ წავიდნენ, მაგრამ დარაჯმა გზა გადაუღობა; მაშინ ბრბო დიდის ხმაურობით სასამართლოს დარბაზიდგან გავიდა.

პარიჟი. გაზეთები უფროს მინისტრად დიუპუის და რიბოს ასახელებენ.

ლონდონი. „Dailu Telegraph“-ს ატყობინებენ პეკინიდგან, რომ ჩინეთის ჯარის კაცნი თავს დაესხნენ ინგლისის რამდენიმე ინჟენერს ხანკოუ-პეკინის რკინის გზაზედ. ორი ინჟინერი დაჭრილია, ერთი რკინის გზის მოხელე მოკლულია: პაო ტანფუსთან ტელეგრაფის მავთულები გადაჭრილია.

პეკინი. დიპლომატთა კრებულმა დაადგინა მოითხოვონ — დაუყონებლივ დათხოვნილ იქმნან ჯარის კაცნი, რომელნიც თავს დაესხნენ ინგლისელ ინჟენერებს, ცუნგ ლი-იამენმა მაშინვე შეასრულა ეს მოთხოვნილება. ინგლისის ელჩმა წინადადება შეიტანა, ჯარის კაცნი დასაჯეთო. დედოფალმა ბრძანება გამოსცა,— დამნაშავენი დასაჯეთო.

პარიჟი. შუადღემდე არავითარი უწესოება არ ყოფილა სასამართლოს შენობის მახლობლად. შენობის რკინის ალაყაფის კარები დაკეტილია. სასტიკი ბრძანებაა გაცემული. საკასაციო პალატა საქმეს შეუდგა შუადღისას. დარბაზი სივსეა; დამსწრეთა შორის არიან ქ-ნი დრეიფუსისა, ვექილები დემანჟი და ლაბორი. საქმის მომხსენებელმა წევრმა ბარდმა სიტყვა დაიწყო. მოაგონა-რა დამსწრეთ, რა მღელვარება გამოიწვია საქმის გადასინჯვამ, იმან დაიწყო ისტორიული აღწერა დრეიფუსის განსამართლებისა. ბარდი ამბობს, რომ სხვა-და-სხვა საშუალებას ხმარობდნენ საქმე რომ ხელ-მეორედ გასინჯულიყოვო. შემდეგ ბარდმა სთქვა, რომ პოლკოვნიკმა ანრიმ სიყალბე ჩაიდინა და მისი ჩვენება-ყალბი კაცის ჩვენება არის, რომელსაც ეჭვის თვალით უნდა უცქეროდეთ; ეს ის საბუთია, რომელიც ეჭვს ჰბადებს დრეიფუსის დანაშაულობის შესახებ და რომელიც საკმაო, რომ საქმის გადასინჯვა გარდაეწყვიტოთ. აგრეთვე უნდა გამოძიებულ იქმნას, ბორდერო მართლა დრეიფუსის შედგენილია. ბარდმა დასძინა, რომ გამამტყუნებელს საბუთს მხოლოდ ბორდერო შეადგენს და ბორდეროს მეტი სხვა არაფერიო. ექსპერტების მომეტებულმა ნაწილმა გამოსთქვა-დამნაშავეაო. კრება შეჩერებულ იქმნა.

პარიჟი. კრება განაახლეს. ბარდი დიდხანს არჩევდა განცხადებას, რომელიც ეხება იმას, ვითომ დრეიფუსი გამოტეხილიყვეს. თუ გინდ დრეიფუსს განეცხადებიოს, რომ დანაშაულობა ჩავიდინეო, აქედგან ის არ გამოდის, რომ იმან ქვეყანას ულალატაო, სთქვა ბარდმა. დრეიფუსი მუდამ ამტკიცებდა, დამნაშავე არა ვარო. ეგევე განაცხადა მან დილით, იმ დღეს, როცა მას ღირსება აჰყარეს. მე თუ საბუთის ქაღალდებს ვაძლევდიო სთქვა დრეიფუსმა, რომელთაც არც მნიშვნელობა ჰქონია და არც ფასი, მხოლოდ მიტომ, რომ Petit Blen მეშოვნა, რომელიც პიკარს ჩაუარდა ხელშიო. მაგრამ პიკარის შესახებ ლაპარაკი არ შემიძლიანო, სთქვა ბარდმა, რადგან ის გამოძიების ქვეშე არისო. შემდეგ ბარდმა ილაპარაკა მატიე დრეიფუსის მიერ ესტერგაზის დაბეზღების შესახებ; წაიკითხა ესტერგაზის წერილები სამხედრო მინისტრთან, რომელშიდაც ის ამბობს, რომ უდანაშაულო ვარო, ესტერგაზს მოწმედ მოჰყავს ერთი უცხო ქვეყნელი ხელმწიფე რომლის დასახელება ბარდს უსარგებლოთ მიაჩნია. ბარდმა დასძინა,—სამწუხაროა, რომ სამხედრო სასამართლომ ვერ გამოიკვლია პირბადიან ქალის შესახებ საქმეო.

◆

განცხადებანი

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(—6.—13)

გორის მაზრის სოფელ ხიდის თავში მაქვს ბაღ-ვენახი, ზომით ექვს დღიურამდე თავისის მოწყობილობით, მარნით, ქვითკირის საწნახლით, ქვევრებით და სახლებით, საჭიროა კარგი მებაღე, რომ იცოდეს ვენახის შემუშავება. შემიძლიან ბაღ-ვენახი იჯარითაც გადავცე მსურველს, ან სანახევროდ. მსურველთ მომმართონ შემდეგის ადრესით: ტფილისი, ავჭალის ქუჩაზე. ალხაზოვის სახლი, № 24. (2—152—1)

გამოვიდა წიგნი
тифлисское церковное
ДРЕВЛЕХРАНИЛИЩЕ
და ისყიდება სიონის სიძველეთ-საცავსა და წერა-კითხვის მაღაზიაში.
ფასი 20 კაპ.
სიძველეთ საცავი ღიაა კვირაობით.
შესვლის ფასი 20 კაპ. (10—მ.—1)

ტყავის დასარბილებელი აპპრეტურა
კელერისა
ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან.
მშვენიერი საშუალებაა იმისათვის, რომ ყოველგვარმა ტყავმა შავად დაიწყოს ელვარება და არ დასველდეს წყლისაგან.
დაუფასებელი რამ არის ქალთა ფეხთსაცმელისათვის, რადგან **ტანისამოსს არ ახდენს**. მშვენივრად ინახავს და ახალს ამგზავსებს ყოველ გვარ ტყავის ნაწარმოებს, როგორც მაგალითად, საკვოიაჟს, პორტმანს, ცხენის იარაღს, ტყავისაგან დამზადებულს სამხედრო საგნებს, ეტლებს და სხვა. ფასი მეტად ხელმისაწვდენი აქვს.
Кожевенная аппретура. (3—მ.—6)

დაბა ყვირილაში
დიმიტრი ოქროპირისძე ხუნდაძის მაღაზიაში
ისყიდება ზომიერ ფასად ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები რვეულები, და საკანცელარიო ნივთები; აგრეთვე გალანტერეინი და ბაკალეინი საქონელი. (4-160—1)

ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 ოქტომბრისათვის 1898 წლისა.

აქტივი.

	მან.	კაპ.
I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები)	12649	61
II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში	4091	30
III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში	50000	—
IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი	1000	—
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი	2317	25
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი	196174	—
VII. გირაოთი გაცემული სესხი:		
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 1441—50		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 10512—70		
გ) საქონელზედ 10494— —		
დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3686—63	26134	83
VIII. დასაბრუნებელი ხარჯი	173	37
IX. მოწყობა-მომართვა	887	12
X. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი	8	13
XI. სხვა-და-სხვა დებიტორები	374	69
XII. მიმდინარე ხარჯი	7100	—
XIII. პროტესტში წასული თამასუქები	955	—
სულ	301865	30

პასსივი.

	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 648 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან	70156	—
II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს)	2413	88
III. შემოტანილი ფული:		
ა) მიმდინარე ანგარიშით 120706—45		
ბ) ვადით 93780— —		
გ) უვადოდ 700— —	215186	45
IV. გარდასაცემი თანხა	1333	96
V. გარდასახდელი სარგებელი	655	98
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა	14	39
VII. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა	11455	—
VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად	500	—
IX. მოგებისა და ზარალის ანგარიში	149	64
სულ	301865	30
პასუხის-მგებლობა 648 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა	631404	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება	2900	—
თამასუქები საკომისიოდ	950	—

(1—6.—1)

საზოგადოება იხდის: მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოთ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—5½%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსის თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—9½%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას 6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელსა და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანცემო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%-ს.

Дозволено цензурою, Тифлисъ 16 го Октября 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე